ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 106

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №89/24-ში, მე-6 სართულზე მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 01.13.08.006.054.02.508.) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - „თბილისის ევროპული ახალგაზრდობის ცენტრისთვის" (ს/კ: 404852129) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 მარტის №12.34.345 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირის №89/24-ში, მე-6 სართულზე მდებარე 530,72 კვმ. ფართის (საკადასტრო კოდი: 01.13.08.006.054.02.508) პირდაპირი განკარგვის წესით, ა(ა)იპ - „თბილისის ევროპული ახალგაზრდობის ცენტრისთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი